ბედი ქართლისა

გზამკვლევი

მოამზადა მაია ინასარიძემ

თემატური ბლოკი: III თემატური ბლოკი - მარადიული ძიებები

თემა: ლიტერატურა და ისტორია
ნიკოლოზ ბარათაშვილის პოემა „ბედი ქართლისა“

თემის მიზანი: მოსწავლეები:

- იმსჯელებენ პოემის შექმნის წინაპირობებზე;
- შეადარებენ ერთი და იმავე ისტორიული ფაქტის ინტერპრეტაციას ისტორიულ წყაროში, ფილმსა და პოემაში;
- დაახასიათებენ პერსონაჟს მონაკვეთის მიხედვით და იმსჯელებენ პერსონაჟის ხატვის ხერხებზე;
- განიხილავენ პოემის პერსონაჟების პოზიციას ეპოქის კონტექსტში და გამოხატავენ საკუთარ დამოკიდებულებას;
- იმსჯელებენ პოემის მხატვრულ თავისებურებებსა და მათ ფუნქციაზე.

მოსწავლეებმა:

- იციან ნიკოლოზ ბარათაშვილის ბიოგრაფია, შეუძლიათ ნიკოლოზ ბარათაშვილის მოღვაწეობის ეპოქის ზოგადი დახასიათება.
- იციან კითხვის სტრატეგიები და შეუძლიათ მათი გამოყენება როგორც მხატვრული, ისე არამხატვრული ტექსტების დამუშავებისას.
- იციან პერსონაჟის ხატვის ხერხები და შეუძლიათ მათი ამოცნობა.
- შეუძლიათ საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვა პრობლემური საკითხის მიმართ.

რესურსები:

- პეტრიაშვილი თეიმურაზ, კრწანისის ბრძოლა, თბილისი, ინტელექტი, 2016.
- სურგულაძე ა., სურგულაძე პ., საქართველოს ისტორია, თბილისი, 1992.
- კანდელაკი ნ., სოლომონ ლიონიძე: ქართული მჭევრმეტყველების კლასიკოსი, თბილისი, 1962.
- ნაწყვეტი ფილმიდან „მაია წყნეთელი“.

ნაბიჯი 1.

„შებრუნებული საკლასო ოთახის“ მეთოდის გამოყენებით მოსწავლეებს მიცემული ჰქონდათ შინ წასაკითხად/მოსასმენად მასალა კრწანისის ბრძოლაზე (სურვილისამებრ, შეუძლიათ აირჩიონ ან თეიმურაზ პეტრიაშვილის „კრწანისის ბრძოლა“, ან სილქნეტის ვიდეოგაკვეთილი ამავე თემაზე, ასევე ნაწყვეტი აკაკი და პაატა სურგულაძეების წიგნიდან 1832 წლის შეთქმულებაზე (იხ. დანართი)). წაკითხულის/მოსმენილის საფუძველზე, მათ უნდა შეესრულებინათ შემდეგი დავალება:
პირველი ტექსტის/ვიდეოგაკვეთილის გაცნობის შემდეგ შეავსეთ ცხრილი:

მასალაში დასახელებული ისტორიული გმირები	**მათი როლი**

1832 წლის შეთქმულების შესახებ მასალის წაკითხვის შემდეგ, პასუხი უნდა გასცენ შემდეგ შეკითხვებს:

- რა მიზანი ჰქონდა 1832 წლის შეთქმულებას?
- ვინ იყვნენ ამ შეთქმულების მოთავეები?
- შეთქმულების რა ხელისშემწყობი ფაქტორები არსებობდა იმ პერიოდში?
- რომელი ორი პოზიცია არსებობდა შეთქმულთა შორის სახელმწიფო მოწყობის შესახებ? დაასახელეთ ამ პოზიციების მხარდამჭერები.
- გაიხსენეთ შეთქმულების გაცემის შესახებ ინფორმაცია. როგორ ფიქრობთ, რა მოტივი შეიძლებოდა ჰქონოდა შეთქმულების გამცემს?

გაკვეთილზე მოსული მოსწავლეები ერთიანდებიან ჯგუფებში და აჯერებენ წაკითხულ/ნანახ მასალას, რათა წარმოადგინონ ერთობლივი ნამუშევარი.

თითო ჯგუფი აკეთებს ერთი რომელიმე წყაროს მიხედვით მომზადებულ პრეზენტაციას, დანარჩენები ავსებენ მას საჭიროების შემთხვევაში.

ნაბიჯი 2. მასწავლებელი მოსწავლეებს აჩვენებს სლაიდს (შესაძლებელია ამობეჭდილი ვერსიის დარიგება ჯგუფებისათვის), რომელზეც წარმოდგენილია კონსტანტინე მამაცაშვილის მოგონება ნიკოლოზ ბარათაშვილზე:

„მახსოვს,
1838 წელს მე და ტატო წავედით სასეირნოდ გარეთუბანს. ტატო ძალიან მხიარულად იყო და თავის ებურად მშვენივრად ხუმრობდა. მერე ჩამოვარდა ლაპარაკი ჩვენს წარსულს ცხოვრებაზედ და ტრა გიკულს დასასრულზედ 18-ის საუკუნისა მეფის ირაკლის მოხუცებულობის გამო, უღონობაზედ, ჩვენის ტფილისის წახდენაზედ 1795 წელს 12 სექტემბერს და სხვ.
ამ ლაპარაკის დროს ნიკოლოზს, ყოველთვის მოცინარსა და მხიარულს, სახე გამოეცვალა, დაიწყო ხელსახოცით ცრემლების წმენდა და აღელვებულმა მითხრა: „ჩვენმა უხეირობამ დაგვღუპა! - და ოხვრით დაუმატა: - ვაი ჩვენო ქართლის ბედო!“ დიდხანს დავდიოდით თავჩაღუნული და მოწყენილი“ (გაზ. „დროება“, 1881: N206).

მას შემდეგ, რაც მოსწავლეები წაიკითხავენ მოგონებას, მასწავლებელი მათ უსვამს შეკითხვას: რა კავშირს ხედავთ ამ სამ წყაროს (იგულისხმება კრწანისის ბრძოლის, 1832 წლის შეთქმულების შესახებ მასალები და კ. მამაცაშვილის მოგონება) შორის?

სავარაუდოდ, მოსწავლეთა პასუხებს შორის დასახელდება ქართლის ბედი. ამას მასწავლებელი იყენებს ძირითად საკითხზე გადასვლისათვის, რომ ნაწარმოები, რომელიც უნდა შეისწავლონ, ასევეა დასათაურებული - „ბედი ქართლისა“.

ნაწარმოების სათაურისა და მასში ასახული ისტორიული ფაქტების - კრწანისის ბრძოლისა და საქართველოს რუსეთთან ურთიერთობის - გაცნობის შემდეგ მასწავლებელი სვამს შეკითხვას:

„ბედი ქართლისა“ ნიკოლოზ ბარათაშვილმა 1839 წელს დაწერა. მასში კი ასახულია 1795 წლის კრწანისის ბრძოლა და მისი შედეგები. თქვენი აზრით, რატომ შეიძლებოდა მიბრუნებოდა პოეტი ოთხ ათეულ წელზე მეტი ხნის წინანდელ ამბავს?

თუ მოსწავლეები ვერ შეძლებენ სრულად პასუხის გაცემას, მასწავლებელი მინი ლექციით აქცენტს აკეთებს 1832 წლის შეთქმულების დამარცხების შემდეგ საქართველოში შექმნილ ვითარებასა და

ერეკლე მეორის გადაწყვეტილების შესახებ არსებულ აზრთა სხვადასხვაობაზე (საზოგადოების ერთი ნაწილი უარყოფითად აფასებდა ერეკლე მეფის პოლიტიკას, მეორე ნაწილი კი მის გამართლებას ცდილობდა).

ნაბიჯი 3. მოსწავლეები მასწავლებლის მითითებით კითხულობენ „ბედი ქართლისას“ ექსპოზიციურ ნაწილს „კახთა მიმართ“. მასწავლებელს სლაიდზე განმარტებული აქვს ის სიტყვები, რომლებიც შეიძლება მოსწავლეებისათვის უცნობი იყოს.
მას შემდეგ, რაც მოსწავლეები წაიკითხავენ მონაკვეთს, მასწავლებელი მიმართავს მათ შეკითხვებით:

- ერეკლე მეფის მიმართ როგორი დამოკიდებულება ჩანს მოცემულ ნაწყვეტში?
- როგორ ფიქრობთ, რა დანიშნულება აქვს ამ მონაკვეთს?
- რა მხატვრულ საშუალებას/საშუალებებს მიმართავს ავტორი თავისი სათქმელის გამოსახატად?

ნაბიჯი 4. მასწავლებელი მოსწავლეებს აძლევს დავალებას, წაიკითხონ შემდეგი მონაკვეთი კრწანისის ბრძოლის ეპიზოდამდე და წარმოადგინონ ერეკლე მეფის დახასიათება წაკითხული მონაკვეთების მიხედვით. თან მიაქციონ ყურადღება, პერსონაჟის დახასიათების რომელი ხერხებია გამოყენებული (კიდევ ერთხელ შეახსენეთ მოსწავლეებს, რა საშუალებებით იხატება ნაწარმოებში პერსონაჟი: პორტრეტი, ავტორისეული დახასიათება, სხვა პერსონაჟის/პერსონაჟების მიერ დახასიათება, ავტოდახასიათება, მეტყველება, ქმედება და ა.შ.); ამისათვის შეავსონ ცხრილი:

ერეკლე მეფის თვისება	შესაბამისი ადგილი ტექსტიდან	პარსონაჟის ხატვის ხერხი

მოსწავლეები მუშაობენ ჯგუფებში.
შემთხვევითობის პრინციპით შერჩეული ერთი ჯგუფი წარმოადგენს ნამუშევარს, დანარჩენები ან ავსებენ, ან შეაქვთ შესწორებები (აძლევენ ჯგუფებს განმავითარებელ შეფასებას).

ნაბიჯი 5. ვიდრე მასწავლებლის მითითებით მოსწავლეები წაიკითხავენ შემდეგ მონაკვეთს (კრწანისის ბრძოლას ვიდრე „და დაერივნენ თავისებურად“), მასწავლებელი აძლევს მათ დავალებას: კითხვის დროს ყურადღება მიაქციონ, რამდენად შეესაბამება ამ მონაკვეთში აღწერილი ამბავი ისტორიულ რეალობას. რატომ ფიქრობენ ასე? ამისათვის გამოიყენონ სახლში დამუშავებული მასალები.
ერთი ჯგუფი (შემთხვევითობის პრინციპით შერჩეული) აკეთებს პრეზენტაციას, დანარჩენები ავსებენ ან შეაქვთ შესწორებები. მასწავლებელი აძლევს განმავითარებელ კომენტარს.

შენიშვნა: სავარაუდოდ, ზემოთ აღწერილი ნაბიჯები დაიკავებს ერთ გაკვეთილს. ასეთ შემთხვევაში მასწავლებელი მოსწავლეებს აძლევს საშინაო დავალებას: დამოუკიდებლად წაიკითხონ პირველი კარი ბოლომდე და მოამზადონ შეკითხვები მომდევნო გაკვეთილისათვის, პირველ კარსა და დამუშავებულ ისტორიულ მასალაზე დაყრდნობით.

ნაბიჯი 6. მოსწავლეები დაყოფილნი არიან ჯგუფებად. მასწავლებელი ახსენებს მათ საშინაო დავალებას და სთხოვს, ჯგუფებში შეაჯერონ მომზადებული შეკითხვები, ამოარჩიონ მათგან ორი და დაუსვან გვერდით მსხდომ ჯგუფს (იმ შემთხვევაში, თუ შეკითხვა განმეორდება, შეცვალონ

სათადარიგო შეკითხვით). თან აცნობს მოთხოვნებს, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს კარგი შეკითხვები:

1. შეკითხვა უნდა ეხებოდეს ტექსტს;
2. შეკითხვა არ უნდა ითხოვდეს დიახ/არა პასუხს;
3. შეკითხვა უნდა ეხებოდეს საკვანძო საკითხებს.

მასწავლებელი განმავითარებელი შეფასებით აფასებს როგორც ჯგუფების მიერ დასმულ შეკითხვებს, ისე პასუხებს.

ნაბიჯი 7. მასწავლებელი მოსწავლეებს წარუდგენს მცირე ნაწყვეტს ფილმიდან ,,მაია წყნეთელი“ და ჯგუფებს აძლევს დავალებას: მათ უნდა შეადარონ ფილმში მათ მიერ წაკითხული/მოსმენილი ისტორიული ექსკურსი და ნიკოლოზ ბარათაშვილის პოემაში აღწერილი კრწანისის ბრძოლა. დავალების შესასრულებლად მასწავლებელი მათ აძლევს მიმართულების მიმცემ შეკითხვებს. ამ დავალების შესასრულებლად და ინფორმაციის ორგანიზებისათვის მასწავლებელი ურიგებს შესავსებ ცხრილს:

შეკითხვა	**წყარო N1: ფილმიდან ნაწყვეტი**	**წყარო N2: წაკითხული / მოსმენილი ტექსტი**	**წყარო N3: პოემა „ბედი ქართლისა“**
I შეკითხვა: რა თვისებებით ხასიათდება ერეკლე მეფე?			
II შეკითხვა: რას გვეუბნება ქართველთა შესახებ მოცემული წყარო?			
III შეკითხვა: რა არის ქართველთა დამარცხების მიზეზი მოცემული წყაროს მიხედვით?			

ერთი ჯგუფი (შემთხვევითობის პრინციპით შერჩეული) აკეთებს პრეზენტაციას, დანარჩენები საჭიროების შემთხვევაში ამატებენ ან აზუსტებენ ინფორმაციას.

სავარაუდოდ, მარცხის მიზეზებს შორის ფილმსა და პოემაში მოსწავლეები დაასახელებენ ღალატს, რაც ისტორიული წყაროების მიხედვით არ დასტურდება. მასწავლებელი ამასთან დაკავშირებით მოსწავლეებს უსვამს შეკითხვას: თუ ისტორიულად არ დასტურდება ქართველთა ღალატის ფაქტი, რატომ შემოიტანა, თქვენი აზრით, ეს პასაჟი პოეტმა პოემაში?

მასწავლებელი აჯამებს მათ პასუხებს, აძლევს უკუკავშირს და იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლეები ვერ დაინახავენ კავშირს 1832 წლის შეთქმულებასა და პოემაში ღალატის პასაჟს შორის, აქცენტს აკეთებს შეთქმულების გამოძახილზე „ბედი ქართლისაში“.

მასწავლებელი მიმართავს მოსწავლეებს შეკითხვით: სამი მასალიდან ორი ხელოვნების ქმნილებაა. ერთი ფილმი და მეორე - პოემა. რა ხერხით მოგვაწვდის სათქმელს ფილმი?

თქვენი აზრით, რა ქმნის მხატვრულ ეფექტს პოემის ამ მონაკვეთში?

(იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლეებმა ვერ შეძლეს ყველა საშუალების დასახელება, უსვამს მიმანიშნებელ შეკითხვებს:

- მონახეთ ტექსტში მონაკვეთი, რომელშიც ჩანს, რომ გმირთა სახელები ამ ბრძოლაში დაიკარგა. რა მხატვრული ხერხითაა ეს ნათქვამი? (ლირიკული გადახვევა)
- რომელ სიტყვებში ჩანს ავტორის აღფრთოვანებითი დამოკიდებულება გმირების მიმართ? (პოეტური შეძახილი / პოეტური მიმართვა).

ნაბიჯი 8. ჩვენ პოემიდან ვიცით, რომ დამარცხებულმა ერეკლემ თავი მთიულეთს შეაფარა. როგორ ფიქრობთ, რაზე იქნება საუბარი პოემის მეორე კარში? (მოსწავლეთა პასუხებს მასწავლებელი წერს დაფაზე).

მასწავლებელი ასმენინებს მოსწავლეებს სიმღერას „მორბის არაგვი“ და თან ეკრანზე ჩანს არაგვის ხეობა. ამის შემდეგ ის მოსწავლეებს უსვამს კითხვას:

- როგორი განწყობილება იგრძნობა სიმღერაში?

შეიძლება იყოს, ერთი შეხედვით, ურთიერთგამომრიცხავი პასუხები. ზოგმა მიანიშნოს სევდიან განწყობილებაზე, ზოგმაც - ომახიანზე. ასეთ შემთხვევაში მასწავლებელი სვამს შეკითხვას:

- რატომ ერთდროულად სევდიანიცა და ომახიანიც?

ამის შემდეგ ის აძლევს მოსწავლეებს წასაკითხად ტექსტიდან მონაკვეთს არაგვის შესახებ და წაკითხვის შემდეგ ისევ ეკითხება:

- თქვენი აზრით, როგორია ტექსტში პოეტის განწყობილება? რატომ ფიქრობთ ასე?

მასწავლებელი მოსწავლეებს აცნობს მეორე კარის ძირითად თემას: საქართველოს ორიენტაციის საკითხს და უსვამს კითხვას:

- როგორ ფიქრობთ, რისთვის შეიძლებოდა დასჭირვებოდა პოეტს ამ კარის არაგვის ხეობის აღწერით დაწყება?

მასწავლებელი აჯამებს მოსწავლეთა პასუხებს.

ნაბიჯი 9. მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, წაიკითხონ მეორე კარის მეორე მონაკვეთი: „მზე დამავალი... რომ არ გვალხენენ თათბირნი მათნი“

და მას შემდეგ, რაც ყველა წაიკითხავს, უსვამს შეკითხვებს:

- რომელი ახალი პერსონაჟი შემოჰყავს ნაწარმოებში ავტორს და ისტორიულია ის თუ გამონაგონი? (მასწავლებელი მოსწავლეთა პასუხის შემდეგ აჩვენებს სლაიდზე სოლომონ ლიონიძის ავთენტურ პორტრეტს).
- როგორ ახასიათებს სოლომონს პოეტი? მონახეთ შესაბამისი მონაკვეთი.
- დახასიათების რა ხერხია ამ შემთხვევაში გამოყენებული?

(სავარაუდოდ, მოსწავლეები იტყვიან, რომ თავად ავტორის დამოკიდებულება ჩანს ამ გმირის მიმართ, ანუ ავტორისეული დახასიათებაა. მასწავლებელი, თუ მოსწავლეებმა ვერ თქვეს, მიანიშნებს, რომ აქ კონტრასტის ხერხსაც იყენებს პოეტი, ერთმანეთს უპირისპირებს სოლომონ ლიონიძეს და თავად ბარათაშვილის თანამედროვე ქართველებს).

ნაბიჯი 10. მასწავლებელი მოსწავლეებს ყოფს ჯგუფებად და აძლევს შემდეგ დავალებას:
წაიკითხონ ინდივიდუალურად ტექსტის მონაკვეთი: „დიდხანს უჭვრეტდა ... ნუღარ გამწირავს ქართველთა ტანჯვად“ და ჯგუფში მსჯელობის საფუძველზე ჩამოაყალიბონ, ერეკლეს აზრით, რა წინააღმდეგობები და საფრთხეები ჰქონდა საქართველოს კრწანისის ბრძოლაში დამარცხების შემდგომ (მასწავლებელს სლაიდზე განმარტებული აქვს ის სიტყვები, რომლებიც შეიძლება მოსწავლეებისათვის უცნობი იყოს და ხელი შეუშალოს შინაარსის გაგებაში). ჯგუფური მუშაობის დროს მასწავლებელი დადის, აკვირდება, აკეთებს ჩანაწერებს და, საჭიროების შემთხვევაში, ეხმარება მოსწავლეებს.
ერთი ჯგუფი წარმოადგენს ნამუშევარს, დანარჩენები ავსებენ. მასწავლებელი აძლევს განმავითარებელ შეფასებას.

ნაბიჯი 11. მასწავლებელი კითხულობს მცირე მონაკვეთს ტექსტიდან: „აბა, რას მირჩევ, ჩემო მსაჯულო ... და მან მოსცეს ქართლს კეთილდღეობა“.
ის უსვამს მოსწავლეებს შეკითხვებს:

- რა გადაუწყვეტია ერეკლეს და რა განაპირობებს მის არჩევანს? რატომ მაინცდამაინც რუსეთი?
- ეთანხმებით თუ არა მეფის გადაწყვეტილებას და რატომ?
- თქვენი აზრით, რა პოზიციას დაიჭერს სოლომონ ლიონიძე? რატომ ფიქრობთ ასე?

ვარაუდების გამოთქმის შემდეგ მასწავლებელი აძლევს დავალებას: თუ გსურთ გაიგოთ, რა პოზიციას დაიჭერს სოლომონი, დამოუკიდებლად წაიკითხეთ „ბედი ქართლისას“ შემდეგი მონაკვეთი, ვიდრე სიტყვებამდე: „ამ დროს აღმოხდა ბადრი მთოვარე“.
მასწავლებელი ეკითხება მოსწავლეებს: გამართლდა თუ არა თქვენი ვარაუდი?
მასწავლებელი აძლევს მოსწავლეებს 10 წუთს იმისათვის, რომ მათ შეავსონ ცხრილი:

რა არგუმენტებით უპირისპირდება სოლომონ ლიონიძე მეფის გადაწყვეტილებას?	რას ვფიქრობ მე სოლომონის მოსაზრებებზე?

რამდენიმე მოსწავლე კითხულობს საკუთარ ნააზრევს. თანაკლასელები აძლევენ უკუკავშირს შემდეგი ფორმულის მიხედვით: რაში ვეთანხმები მეგობარს / რა მაეჭვებს მის მოსაზრებებში და რატომ?
როცა მოსწავლეები აქცენტს გააკეთებენ სოლომონის ეჭვზე, რომ თვისებრივი განსხვავება ერებს შორის მნიშვნელოვანია, მასწავლებელი ერთვება კომენტარით. ის უკითხავს მოსწავლეებს მცირე მონაკვეთს ილია ჭავჭავაძის „მგზავრის წერილებიდან“ და უსვამს მათ შეკითხვას: როგორ ფიქრობთ, რატომ წაგიკითხეთ ეს მონაკვეთი?
მოსწავლეები, სავარაუდოდ, ადვილად მიხვდებიან, რომ ეჭვი, რომელსაც გამოთქვამდა სოლომონ ლიონიძე, გამართლდა. გარდა „მგზავრის წერილებისა“, ამას ადასტურებს არაერთი ნაწარმოები: ალექსანდრე ყაზბეგის „ელგუჯა“, მიხეილ ჯავახიშვილის „ლამბალო და ყაშა“, „მართალი აბდულა“ და სხვ.

ნაბიჯი 12. მასწავლებელი მიმართავს მოსწავლეებს შეკითხვით: არსებობს მოსაზრება, რომ ასეთ თამამ წინააღმდეგობას მრჩეველი ვერ გაუწევდა მეფეს. უფრო მეტიც: ეს დიალოგი არ შეიძლება შემდგარიყო, რადგან სოლომონი მავანთა შესმენით ამ დროს არ იყო ერეკლეს გვერდით. როგორ ფიქრობთ, მაშ რატომ გადაწყვიტა ასეთი დიალოგის ჩართვა პოეტმა თავის ნაწარმოებში?
თუ მოსწავლეებს გაუჭირდებათ რთულ სააზროვნო უნარზე ორიენტირებულ შეკითხვაზე პასუხის გაცემა, მასწავლებელი მათ აჩვენებს სლაიდზე დატანილ შეხედულებას, რომელიც სიმონ ჩიქოვანს

ეკუთვნის: „თითქოს რუსთა ხემწიფობის მიმართ იჭვია გამოთქმული. ეს იჭვი 1832 წლის შეთქმულთა გავლენას უნდა მიეწეროს... პოეტის ნათესავები, ახლობლები და სკოლის მასწავლებლები ხსენებული შეთქმულების მონაწილეები იყვნენ და პოეტს არ შეეძლო მათი შეხედულებებისათვის ანგარიში არ გაეწია“.
ეს მსჯელობა, სავარაუდოდ, მოსწავლეებს მიიყვანს იმ დასკვნამდე, რომ პოემა 1832 წლის შეთქმულების გამოძახილია, რაზეც ადრე უკვე ისაუბრეს. ასევე, ნიკოლოზ ბარათაშვილს პოემიდან ეს დიალოგი უფრო თავისი თანამედროვეებისათვისა და მომავალი თაობებისათვის სჭირდებოდა, რათა მათთვის თავისუფლების ფასი და მნიშვნელობა ეჩვენებინა.

ნაბიჯი 13. მასწავლებელი გაახსენებს მოსწავლეებს, როგორ მთავრდება მეფე ერეკლეს და სოლომონის დიალოგი, რომელშიც ერეკლე ამბობს:
„ნუ დაივიწყებ, მაგრამ ჩემს სიტყვას,
რომ დღეს იქნება თუ ხვალ იქნება,
ქართლსა დაიცავს რუსთ ხელმწიფება“.
და უსვამს მოსწავლეებს შეკითხვას: როგორ ფიქრობთ, რის თქმა უნდოდა ამ სიტყვებით ავტორს?
სავარაუდო პასუხები შეიძლება იყოს: რუსეთის ინტერესი იმდენად დიდი იყო საქართველოს მიმართ, რომ ის თუ არა ნებით, ძალით დაიპყრობდა საქართველოს; ერეკლე ხვდებოდა, რომ ეს ისტორიული გარდუვალობა იყო და „ჩათრევას ჩაყოლა“ ამჯობინა; დასუსტებული საქართველო ვერ შეძლებდა დამოუკიდებლად მტრების მოგერიებას, ერეკლე მეფემ ერთპიროვნულად მიიღო გადაწყვეტილება და კეთილდღეობა ამჯობინა თავისუფლებას და ა.შ.
ნაბიჯი 14. მასწავლებელი აძლევს მოსწავლეებს დავალებას (შესაძლებელია ამ დავალების სახლში მიცემაც): დამოუკიდებლად წაიკითხონ ტექსტის ბოლო მონაკვეთი - „ამ დროს აღმოხდა ბადრი მთოვარე“ - ბოლომდე, ჩამოწერონ თითოეულის არგუმენტები და მიაწერონ მცირე კომენტარი, რომელ პოზიციას ემხრობიან / არ ემხრობიან და რატომ. ამისათვის შეავსონ ცხრილი:

ერეკლე მეფის არგუმენტები		ვეთანხმები, რადგან... არ ვეთანხმები, რადგან...
სოლომონის არგუმენტები		ვეთანხმები, რადგან... არ ვეთანხმები, რადგან...

ნაბიჯი 15. მასწავლებელი შეახსენებს მოსწავლეებს დამოუკიდებლად წასაკითხ მონაკვეთს და უსვამს შეკითხვებს:

- ამ მონაკვეთის წაკითხვის შემდეგ ხომ არ შეცვლილა თქვენი დამოკიდებულება ერეკლე მეფის გადაწყვეტილების მიმართ? თუ შეიცვალა, რატომ?
- რა თვისებით წარმოდგა ამ მონაკვეთში ერეკლე მეფე?
- როგორ ფიქრობთ, რა მიზნით ჩართო პოეტმა მოხუცი მეფის მიერ ყმაწვილკაცობის პერიოდის გახსენება? (ეს შეკითხვა დაისმება იმ შემთხვევაში, თუ ერეკლეზე საუბრისას მოსწავლეები ვერ შეძლებენ მის სულში არსებული წინააღმდეგობის გამოკვეთას).

ტექსტის გააზრებისათვის მასწავლებელი მოსწავლეთა ჯგუფებს ურიგებს შეკითხვათა პაკეტს. ეს შეკითხვებია:

- რას ფიქრობს მარტო დარჩენილი სოლომონი მეფის ერთპიროვნული გადაწყვეტილების შესახებ? გაიხსენეთ ნიკოლოზ ბარათაშვილის ბიოგრაფიიდან, რომელმა პიროვნებამ

იქონია გავლენა მის მსოფლმხედველობაზე, ასევე 1832 წლის შეთქმულების შესახებ დამუშავებული მასალა და იმსჯელეთ, როგორ აირეკლა ეს გავლენა პოემის ამ მონაკვეთში?

- შინაგანი წინააღმდეგობა სოლომონის ფიქრებშიც ჩანს. მოიყვანეთ ამის დამადასტურებელი მონაკვეთი ტექსტიდან.
- სოლომონი თავის მეუღლეს მომხიბვლელ ფერებში უხატავს ქართველთა უზრუნველ ცხოვრებას რუსეთის კარზე. როგორ ფიქრობთ, რა მიზნით აკეთებს ამას მეფის მრჩეველი?
- როგორ უპასუხებს ამ გამოწვევას სოფიო? მოიხმეთ შესაბამისი ადგილი ტექსტიდან. სოფიოს რა თვისება ჩანს ამ მონაკვეთში?
- რომელ მონაკვეთში ჩანს თავად ნიკოლოზ ბარათაშვილის შეფასებითი დამოკიდებულება სოფიოს პოზიციის მიმართ? მოიხმეთ ადგილი ტექსტიდან.
- რა მხატვრული ხერხებია გამოყენებული ბოლო მონაკვეთში: „ჰოი, დედანო... მითომ რას გვავნებს უცხო ტომობა?“ (ლირიკული გადახვევა, პოეტური შეძახილი).

ყველა შეკითხვაზე მუშაობს ყველა ჯგუფი, მაგრამ პრეზენტაციისას ერთი ჯგუფი უპასუხებს ერთ შეკითხვას, დანარჩენები საჭიროების შემთხვევაში ავსებენ. მეორე ჯგუფი - მეორე შეკითხვას და ა.შ. მასწავლებელი აჯამებს მსჯელობას და აძლევს განმავითარებელ შეფასებას, საჭიროების შემთხვევაში - დამატებით კომენტარს.

ნაბიჯი 16. მასწავლებელი კლასს მიმართავს შეკითხვებით:

- თქვენი აზრით, არის თუ არა ისტორიული პირი სოფიო? მოსწავლეების არასწორი პასუხის შემთხვევაში, მასწავლებელი აკეთებს მცირე ისტორიულ ჩანართს სოლომონ ლიონიძის ოჯახზე (იხ. დანართი 2.).
- როგორ ფიქრობთ, რა მიზნით შემოიყვანა პოემაში ნიკოლოზ ბარათაშვილმა სოფიო და რა დატვირთვა აქვს სოფიოს და სოლომონის დიალოგს?
- პოემაში ნიკოლოზ ბარათაშვილი ცვლის ისტორიული მოვლენების თანმიმდევრობას. გიორგიევსკის ტრაქტატი, რომელიც 1783 წელს დაიდო და რომელიც უნდა მოჰყოლოდა თითქოს ერეკლესა და სოლომონის ამ დიალოგს, გადმოტანილია 1795 წლის კრწანისის ბრძოლის შემდეგ. ამას ანაქრონიზმის ხერხს უწოდებენ და ასეთი რამ მხატვრულ ლიტერატურაში დასაშვებია. როგორ ფიქრობთ, რა მიზანი ჰქონდა პოეტს, როცა ამ ხერხს მიმართა?

(სავარაუდო პასუხების მითითება არ მიგვაჩნია მიზანშეწონილად, რადგან ეს ღია და მაღალ სააზროვნო უნარებზე ორიენტირებული შეკითხვებია, ამიტომ ჩვენ უნდა შევაფასოთ პასუხების დამაჯერებლობა, ორიგინალური ხედვა, საკითხის გააზრების სიღრმე და არა მისი მართებულობა).

ნაბიჯი 17. მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, კიდევ ერთხელ გადახედონ პოემის ბოლო ნაწილს: „რა მოახლოვდა ქალაქსა მეფე...“ - ბოლომდე.

მას შემდეგ, რაც მოსწავლეები გადახედავენ მონაკვეთს, მასწავლებელი უსვამს შეკითხვას:

- თუ ქალაქიც აღდგა და გარეშე მტრებიც მოიგერია ერეკლემ, რატომ ამბობს პოეტი: “დიდი ხანია გულს ირაკლისას გარდუწყვეტია ბედი ქართლისა.“

სავარაუდოდ, მოსწავლეების პასუხი ვერ იქნება სრულყოფილი. ამიტომ მასწავლებელი საკვანძო შეკითხვაზე პასუხის გასაცემად სთავაზობს მოსწავლეებს, მოემზადონ დისკუსიისათვის, რომელშიც ნაწილს მოუწევს ერეკლე მეფის პოზიციის დაცვა, ნაწილს - სოლომონისა. ამისათვის მათ კიდევ ერთხელ უნდა გადახედონ ტექსტს.

ნაბიჯი 18. მასწავლებელი მოსწავლეებს სთავაზობს დისკუსიის გამართვას. ის შემთხვევითობის პრინციპით ყოფს კლასს ოთხ ჯგუფად. ერთი ჯგუფი იცავს ერეკლე მეორის პოზიციას, მეორე - სოლომონისას, მესამე ჯგუფი ისტორიის ექსპერტთა პოზიციიდან აფასებს პოემაში აღწერილ ვითარებას, მეოთხე ჯგუფი კი მხატვრული ლიტერატურის ექსპერტთა პოზიციიდან აანალიზებს

პოემას (როგორ არის პროვოცირებული ისტორიული რეალობა, რა არის პოემაში ავტორის ფანტაზიის, წარმოსახვის ნაყოფი, რა ფუნქცია აქვს მას, რა მხატვრულ-გამომსახველობითი ხერხების საშუალებითაა მიღწეული ეფექტი).
თითოეული ჯგუფი აკეთებს პრეზენტაციას, რის შემდეგაც მასწავლებელი აჯამებს დისკუსიას და აფასებს ჯგუფებს არა პოზიციის მართებულობის, არამედ საკითხის სიღრმისეული გააზრებისა და მსჯელობის დამაჯერებლობის მიხედვით.

ნაბიჯი 19. მასწავლებელი დისკუსიის შემდგომ მოსწავლეებს აძლევს საშინაო დავალებას: უყურონ ვიდეოჩანაწერს - ლევან ბერძენიშვილის საუბარი ნიკოლოზ ბარათაშვილის „ბედი ქართლისაზე“ და ჩაინიშნონ მათთვის ყველაზე მნიშვნელოვანი და საინტერესო მოსაზრებები.

https://www.youtube.com/watch?v=mJcM-fYQaoY

ნაბიჯი 20. ვიდეოს ნახვის შემდეგ კლასში იმართება დისკუსია მრგვალი მაგიდის გარშემო. ამ დისკუსიაში მოსწავლეები გამოხატავენ საკუთარ დამოკიდებულებას მოსმენილის მიმართ. მათ ეძლევათ შესაძლებლობა, გადახედონ წინა დღეს მოხმობილ არგუმენტებს და პოზიციაც კი შეიცვალონ ან გაიმყარონ.

ნაბიჯი 21. მასწავლებელი მოსწავლეებს სთავაზობს აირჩიონ ჩამოთვლილთაგან ერთ-ერთი და დაწერონ:

- ესე - ისტორიული სიმართლე და ორი პოზიცია (საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვა);
- ერეკლეს წერილი მომავალ თაობას;
- სოლომონის წერილი მომავალ თაობას.

გამოყენებული მეთოდები:

- „შებრუნებული საკლასო ოთახი“;
- საკითხის ანალიზი ჯგუფებში და პრეზენტაცია;
- კომენტირებული კითხვა / კითხვა კონკრეტული ამოცანით;
- „ვმუშაობთ წყაროებზე“;
- კოგნიტური სქემები;
- დისკუსია.

გამოყენებული წყაროები:

- თეიმურაზ პეტრიაშვილი, კრწანისის ბრძოლა, თბილისი, ინტელექტი, 2016.
- აკაკი სურგულაძე, პაატა სურგულაძე, „საქართველოს ისტორია", გამომცემლობა "თბილისი", 1992 წ.
- ნიკოლოზ ბარათაშვილი, სერიიდან „ქართველი მწერლები სკოლაში, თბილისი, 2007.
- https://www.youtube.com/watch?v=dps0UErvSSE

სოლომონ ლიონიძე

გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწე სოლომონ ლიონიძე XVIII საუკუნის დიდ ქართველთა შორის გამოირჩევა თავისი ხანგრძლივი და მრავალმხრივი დამსახურებით. ის ერეკლე მეორის სამეფო კარის დიპლომატი, გავლენიანი მრჩეველი და ერთგული კარისკაცია. საქართველოს სახელმწიფო სათავეში მას ეჭირა მსაჯულისა და მდივნის მაღალი თანამდებობანი. თანამედროვეთა შორის ის ცნობილი იყო თავისი გამჭრიახი გონებით, ფართო განათლებითა და პატრიოტული სულისკვეთებით – მან სახელი გაითქვა ჭკუით, ცოდნით, გმირობითა და მჭევრმეტყველებით.

საკუთარი სიტყვითა და საქმით უკვდავყოფილი ს. ლიონიძე დიდებისა და მადლიერების სხივით შემოსა მისი მომდევნო თაობის უდიდესმა წარმომადგენელმა ნ. ბარათაშვილმა. პოემა „ბედი ქართლისა“ ერთგან ასე გვაუწყებს:

თან ახლდა მეფეს თავის მსაჯული,
ნიჭთა კეთილთა უხვად მორჭმული.
ვის არა გახსოვთ სოლომონ ქველი,
მეფის შინაყმა, ყმათ საყვარელი!

აქ ს. ლიონიძის წარუშლელი სურათია დახატული.

ს. ლიონიძე დაიბადა 1754 წელს (ეს გაარკვია გ. ლეონიძემ). მისი სიყრმის მშობლიური კუთხე კახეთია. ზოგიერთი ცნობით ირკვევა სოლომონის ურთიერთობა ქსნის ხეობასთან. გავრცელებული გადმოცემის მიხედვით, ქსნის ხეობიდან იყო ს. ლიონიძის მეუღლე — ასული ქსნის ერისთავისა. სარწმუნო ცნობებით ს. ლიონიძე კახელ ლიონიძეთა შთამომავალია, სოფელ კონდოლიდან.

სოლომონის გვარი არის ლიონიძე, რაც დასტურდება ბევრი საისტორიო პირველწყაროთი. მათ შორის გადამწყვეტი მნიშვნელობისაა ერთი ავტოგრაფული ხელნაწერი, რომლის ხელრთვა ასე იკითხება: სოლომონ ლიონიძე. ბევრგან ის მოხსენებულია სოლომონ მსაჯულის სახელით. ასევე იხსენიება პირად ბეჭედზე, რომლის სრული ანაბეჭდი მოღწეულია ჩვენამდე. აქ ვკითხულობთ: „მსაჯული სამეფოთა ზედა და მდივანი მეფისა სოლომონ“.

სოლომონის გვარის ფორმა ლეონიძე გვიანდელია — მისი დამკვიდრება მოხდა XIX საუკუნის მიწურულში; ერთხანს ის ძველი ფორმის პარალელურად იხმარებოდა, ხოლო შემდეგ ია მარუშიძის (ზ. ჭიჭინაძის) მონოგრაფიული ნარკვევი — „სოლომონ ლეონიძე, მსაჯული მეფე ერეკლესი და საქართველოს რუსეთთან შეერთების მომზადების წვლილნი“ — ფართოდ ავრცელებს ამ ახალ ფორმას ჩვენში.

სოლომონი იყო შვილი თელავის კარის დეკანოზის ანდრია ლიონიძისა. თავისი მაღალი სასულიერო თანამდებობის გამო ანდრია ლიონიძე მეფის მახლობელი კარისკაცი უნდა ყოფილიყო.

ს. ლიონიძეს განათლება მიუღია თელავის სამეფო კარის სკოლაში. აქ მას შეეძლო მოესმინა ცნობილ ქართველ სასულიერო პირთა და მეცნიერებით აღჭურვილ ადამიანთა ლექცია-ქადაგებანი და წაეკითხა სამეფო ბიბლიოთეკაში დაცული იშვიათი წიგნები და ხელნაწერები. აქვე შეეძლო მას შეესწავლა რუსული, სომხური, სპარსული და თურქული ენები, რომელთა ცოდნას იგი იჩენდა და იყენებდა თავისი პოლიტიკური მოღვაწეობის ფართო სარბიელზე.

მეფის მახლობელთა და სახელმწიფოს უზენაეს მმართველთა შორის ს. ლიონიძეს დიდხანს ეჭირა მეტად საპატიო ადგილი. იგი XVIII საუკუნის უკანასკნელ მეოთხედსა და XIX საუკუნის დასაწყისში ჩვენი სამშობლოს სოციალურ-პოლიტიკური და კულტურული ცხოვრების აქტიური მონაწილე იყო. თავისი მოღვაწეობის ხანგრძლივ მანძილზე ის წარმოადგენდა მეფის უახლოეს კარისკაცს, რომელიც უანგარო ერთგულებითა და დაუშრეტელი ენერგიით გამოირჩეოდა.

ს. ლიონიძე იბრძოდა საქართველოს გაერთიანებისათვის, მონაწილეობდა ჩვენი სამეფოების საშინაო და საგარეო საქმეებში, ზრუნავდა ქართველი ხალხის ეკონომიური და სამხედრო ძლიერებისათვის და ხელს უწყობდა ჩვენი ეროვნული კულტურის განვითარებას.

ს. ლიონიძის უშუალო მონაწილეობით შემზადდა, გაფორმდა და ძალაში შევიდა 1783 წლის ცნობილი ხელშეკრულება საქართველოსა და რუსეთს შორის — „მეგობრობითი პირობა“, რომლის ძალით ქართლ-კახეთი მოექცა რუსეთის მფარველობაში და საფუძველი ჩაეყარა რუს და ქართველ ხალხთა ისტორიულ გაერთიანებას.

1790 წელს ს. ლიონიძის აქტიური ჩარევით დაისვა და დამუშავდა საკითხი საქართველოს დაქსაქსული სამეფო-სამთავროების შეკავშირება-შეერთებისა და დაიდო უზენაეს ხელისუფალთა საკავშირო ხელშეკრულება.

ს. ლიონიძის პირადი ხელმძღვანელობით შესრულდა ჩვენში ბევრი ისტორიული მნიშვნელობის სახელმწიფო მისია — დიპლომატიური მოლაპარაკება, სადარბაზო თათბირი, ბჭობა-კამათი და გამორჩევა.

ამ საქმეებით სახელგანთქმული ქართველი სახელმწიფო მოღვაწე, მწიგნობარი და ტრიბუნი ს. ლიონიძე თანამედროვეთა შორის დიდი გავლენითა და პატივით სარგებლობდა. ამას გვაუწყებს ჩვენამდე მოღწეული ბევრი სარწმუნო ცნობა. მათ შორის განსაკუთრებით საყურადღებოა იოანე ბატონიშვილის გამონათქვამი ს. ლიონიძის შესახებ: „ესე იყო გონებამახვილი, წერილთა შინა გამოცდილი, სიტყვა-მარჯვე და საქმისა წერათა შინაცა კარგი“. ინტერესმოკლებული არ არის აგრეთვე პლატონ იოსელიანის გვიანდელი ცნობა, რომლის მიხედვით ს. ლიონიძე იყო „მაღალის გონების კაცი, ერთგული ქვეყანისა, დიდი მრჩეველი და უცთომელად შემმეცნებელი საქმისა“.

წარჩინებული კარისკაცის დიდი წარმატება მეფის ირგვლივ შემოკრებილ ფეოდალთა წრეში ჯერ ფარული შურით აღინიშნა და შემდეგ გამეღავნებული შეღლითა და მტრობით. ამ მტრობის შედეგად, როგორც ცნობილია, ერეკლესა და სოლომონს შორის 1796 წელს ჩამოვარდა უთანხმოება, რასაც მოჰყვა მათი გათიშვა. ეს გათიშვა არ აღმოჩნდა ხანგრძლივი — მეფემ შეიცნო კარისკაცის სიმართლე, მისი უანგარო ერთგულება და შეირიგა ის. ამ ფაქტს გულისხმობს ს. ლიონიძე თავის სამგლოვიარო სიტყვაში ერეკლეს მიმართ, როცა ლაპარაკობს: „იმისი ტკბილი ბატონყმობა ვიტირო, თუ თავისს უნებურად ჩემის შეწუხების შენანება, რომელიც თავისის უმაღლესის ჭელით მომწერა და სოფელმა აღარ დააცალა“.

ერეკლე მეორის გარდაცვალების (1798) შემდეგ ს. ლიონიძე ერთხანს ისევ ქართლ-კახეთის სახელმწიფო საქმეებისა და პოლიტიკური ცხოვრების უახლოესი მონაწილეა. ის საქართველოს სამეფო კარზე ისევ თვალსაჩინო და გავლენიან მოღვაწედ მოჩანს. პოლიტიკურ ძალთა ჭიდილის არენაზე, როცა ბაგრატიონთა დინასტიის შიგნით გაჩნდა შეურიგებელი დაჯგუფებანი, ს. ლიონიძე ქვრივი დედოფლის მომხრეთა შორის აღმოჩნდა. დარეჯან დედოფლის ჯგუფის საპირისპიროდ დაირაზმა საქართველოს უკანასკნელი მეფის გიორგი მეთორმეტის ძის — დავით ბატონიშვილის დაჯგუფება. მოწინააღმდეგეთა შორის ჯერ ფარული და შემდეგ აშკარა ბრძოლა გაჩაღდა. მეფის რუსეთის მაღალი მოხელეები ამ ბრძოლაში დავით ბატონიშვილს თანაუგრძნობდნენ. ასეთ ვითარებაში 1801 წელს ს. ლიონიძე დააპატიმრეს.

საპატიმროდან ს. ლიონიძე წერილით მოაგონებს მთავარმართებელ კნორინგს იმ დამსახურებას, რაც მას უმაღლესი კარის წინაშე მიუძღოდა საქართველოს რუსეთთან შეერთების საქმეში, კვლავინდებურად ერთგულ სამსახურს პირდება და მოითხოვს განთავისუფლებას. ს. ლიონიძის ენერგიულ ცდასა და გავლენიან პირთა ჩარევას, როგორც ეტყობა, გაუჭრია და ის პატიმრობიდან გაუთავისუფლებიათ. 1802 წლიდან ს. ლინიძეს იმერეთში ვხედავთ. აქ, სოლომონ მეორის სამეფო კარზე ის დიდი პატივით იქნა მიღებული. იმერეთის მეფემ ს. ლიონიძეს შეუნარჩუნა მაღალი თანამდებობანი და უბოძა ადგილ-მამულები იმერეთსა და რაჭაში — კაცხის, მინდასა და ბარაკონის მიდამოებში.

1803 წელს იმერეთის მეფე აძლევს ს. ლიონიძეს ელჩის რწმუნებას და დიპლომატიური მისიით მიავლენს რუსეთში, ალექსანდრე პირველის კარზე. მეფის სურვილს შეადგენდა იმერეთის რუსეთთან შეერთება, მაგრამ ისე, რომ სამეფო ტახტი შეენარჩუნებინა. ამ სურვილს იზიარებდა ს. ლიონიძეც. მეფის ელჩი იმპერატორმა თუმცა პატივისცემით მიიღო, მაგრამ უპასუხოდ გამოისტუმრა. ამის მიზეზს წარმოადგენდა მეფისა და მისი ელჩის პირადი მტრების ფარული მონაწილეობა სახელმწიფო საქმეებში.

1804 წელს ს. ლიონიძე პეტერბურგიდან ბრუნდება იმერეთში. ის ერთხანს

კვლავ სამეფო საქმეებს ასრულებს და 1810 წელს — იმერეთის რუსეთთან შეერთებისა და სოლომონ მეორის თურქეთში გაქცევის შემდეგ — ისიც მეფის კვალს გაჰყვება და ქ. ახალციხეს გადაიხვეწება.

აქ, უცხოობასა და სიმარტოვეში, გაატარა ს. ლიონიძემ თავისი უკანასკნელი დღეები. ის გარდაიცვალა 1811 წელს ახალციხეში და იქვეა დაკრძალული.

ს. ლიონიძის ოჯახი — მეუღლე და შთამომავლობა — აქა-იქ ნახსენებია ჩვენს საისტორიო წყაროებში. ნ. ბარათაშვილმა თავის პოემაში, სოლომონის პორტრეტის გვერდით, რამდენიმე სიტყვით დაგვიხატა მისი მეუღლე „სათნო სოფიო, სულისა, ტოლი“ და იქვე, ცნობილი ხოტბით შეამკო ის:

ჰოი, დედანო, მარად ნეტარნო,

კურთხევა თქვენდა, ტკბილსახსოვარნო!

ს. ლიონიძეს ჰყავდა ორი ვაჟი: იოანე და ალექსანდრე, რომელთაგან უმცროსი — ალექსანდრე — ტრაგიკულად დაიღუპა ჯირითის დროს, 22 წლის ასაკში. მას შთამომავლობა არ დარჩენია.

ს. ლიონიძის უფროსი შვილი იოანე, რომელიც მამას თან გაჰყვა ახალციხეში, 1811 წელს დაბრუნდა სამშობლოში და დიდი ისტორიული ცვლილებების დასასრულს, მცირე გაბრძოლების შემდეგ, შეურიგდა თავის უჩინარ ხვედრს და დამკვიდრდა სოფელ კაცხში, მამისეულ მამულში. მან ცოლად შეირთო ცნობილი თავადის ივანე აბაშიძის ასული თამარი და ახალი პოლიტიკური ვითარების მყუდრო ჭერქვეშ განაგრძო ცხოვრება.

იოანე ლიონიძეს ჰყავდა შვიდი შვილი: იოანე, სოლომონ, ალექსანდრე, სიმონ, დავით, სოფიო და მარიამ.

მათ შორის დავით იოანეს ძე ლიონიძე, შვილიშვილი სოლომონ მსაჯულისა, საკმაოდ ცნობილი საზოგადო მოღვაწე, პოეტი და ჟურნალისტია გასული საუკუნის 80-იანი წლებისა. მას ეკუთვნის პატრიოტულ, სოციალურ და სატრფიალო მოტივებზე დაწერილი ლირიკული ლექსები და ისტორიულ ქარგაზე აგებული ორი ნაწარმოები: პოემა „ელიავა“ და დრამა „სოლომონ მეორე, მეფე იმერეთისა“.

დავით ლიონიძეს ცოლად ჰყავდა უცხოელი ქალი, პარიზელი კომუნარის ემილ სიგვარტის ასული იზაბელა, რომელიც პარიზის კომუნის დაცემის შემდეგ სამშობლოდან ლტოლვილ მამას შვეიცარიაში გამოჰყვა, მერმე რუსეთში ჩამოვიდა და გათხოვების შემდეგ საქართველოში ცხოვრობდა.

დავით ლიონიძე გარდაიცვალა 1921 წელს, 73 წლის ასაკში. ის დასაფლავებულია სოფელ კაცხში.

დავით ლიონიძეს დარჩა ვაჟი სოლომონ (ბებე), სოლომონ მსაჯულის შვილიშვილის შვილი, რომელიც თავისი მრავალრიცხოვანი ოჯახით ცხოვრობდა ქალაქ ზესტაფონში და ეწეოდა სამოსამართლო მოღვაწეობას.

ჩვენამდე მოღწეულია ს. ლიონიძის სურათი. ის წარმოადგენს ფანქრით

შესრულებულ ნახატს, რომელზედაც აღბეჭდილია ქართულ სადარბაზო ტანსაცმელში გამოწყობილი შუახნის მამაკაცი. მას აცვია ახალუხი, ზემოთ — ყურთმაჯიანი კაბა, წელზე ახვევია ქსოვილის სარტყელი, წამოსხმული აქვს გრძელი ქულაჯა და ხელში უჭირავს ჯოხი.

ეს სურათი დაცული ყოფილა ერთ ქართულ ხელნაწერში, რომელიც ხელთ ჰქონია ქვათახევის მონასტრის მღვდელ-მონაზონს ვინმე ნიკონ ჯობინაშვილს.

1916 წელს ზ. ჭიჭინაძემ გამოაქვეყნა ს. ლიონიძის პორტრეტი, გადმოხატული მწიგნობარ იასონ ციციშვილის მიერ ხსენებული ხელნაწერიდან.

ს. ლიონიძის პორტრეტის შესახებ ჩვენ გვაქვს სხვა ცნობაც. მას შეიცავს ლიონიძის მოურავის გუგუნა ბაზღაძის ნაამბობი, რომელიც ჩაუწერია ორატორის შვილიშვილს დავით იოანეს ძე ლიონიძეს (1848-1921). გ. ბაზღაძეს უთქვამს: „იმპერატორ ალექსანდრემ გადააღებინა იმერეთის მეფის დესპანის სურათი თავის კაბინეთში დასაკიდებლად. ეს სურათი სოლომონ ლიონიძისა დღემდის იპოვება თურმე ერმიტაჟის არხივში“.

შესაძლოა ეს სურათი იყოს ნ. ჯობინაშვილის ხელნაწერის პირველწყარო. ყოველ შემთხვევაში, ამ ხელნაწერში უსაფუძვლოდ ვერ შევიდოდა საქვეყნოდ ცნობილი პიროვნების პორტრეტი და ისიც მისი სიცოცხლის მახლობელ პერიოდში.

ამრიგად, ს. ლიონიძის შემონახული პორტრეტი, ვფიქრობთ, ავთენტიკურია.

ნიკოლოზ კანდელაკი, 1990 წ

გლოვა

მეფის ირაკლი მეორისა

თქმული სოლომონ მსაჯულისაგან

მეფის ერეკლეს დასაფლავების დღეს, 22 თებერვალს,
1798 წ. მცხეთის საკათალიკოსო ტაძარში
(შემოკლებით)

დღეს ქვეყანა აღსრული გულის წყრომისა ტახტსა ზედა იცხებს ყოვლად უფასოსა სისხლსა, — სახსარსა ქართველთა გვარისასა. ცამან მისტაცა ქვეყანას სიმდიდრე, ძლიერთა ძალი. ბრძენთა გონიერება, ერთა გვირგვინი, მხედართ მთავარი და თვით-მპყრობელთა სახელმწიფო ზრდილობა. დიდნო

მეფენო! სტიროდეთ ახლად ქვეყნისა დიდებასა, სტიროდეთ ცუდად სოფლისა დიდებასა, ისმინეთ ესე სახსოვრად სასმინარი: მოკვდა ღერკულესი, უძლეველი მეფე — ერეკლე და მზისა ქვეშ იხილეთ, რამეთუ ყოველი ამაოა...

ადიდა გვარი თვისი, ადიდა სიმხნე თქვენ ქართველთა ცათმდე და აწ აღვიდა ანგელოსთა ღვთისათანა. გარნა აქაც და მუნ ცხოველ არს იგი, რათ სტირით, ძენო ობოლნო მამისაგანო?

და შენ შესაკრებელო სასო ქართველთა ნათესავთაო, ტაძარო ათთორმეტისა სკიპტრისაო! რად სტირი, სადავითოვ სახლო, დიდის მეფის ალექსანდრესაგან დიდებულო სახლო, თეიმურაზ პირველისაგან ამაღლებულო სახლო, წმინდის ქეთევან დედოფლისა სისხლით ცხებულო სახლო, სადაც ხმა იყო, სიხარული და ცხოვრება, და იყავ საყოფელი მართალთა, რომელშიაც სანატრელი მეფე თეიმურაზ და დედოფალი თამარ მეფის ერეკლეს შობაზედ იხარებდენ, რომლისაც საწოლში მეფის ერეკლეს სადღესასწაულო შობა იდიდებოდა.

და სადა სახსრად ქართველთა ნათესავთა მეფე ერეკლე, ლომი იუდასი დავითის სახლში იზრდებოდა...

რათ სტირი, სადავითოვ სახლო, ვიდრემდის ახალი მოსე ისრაელთა, მეფე ერეკლე საქართველოს მხედრობას წინ უძღვის და საქართველოს რათ ამბობ, ამ სახელოვანს სახლს, დიდის როსიიდამ გამოჰყავს ლაშქარი, ცინბირიდამ მოჰყავს სამხედრო გუნდი. ვის შეუძლიან შენი დამდაბლება, როდესაც მეფის ერეკლეს ბედნიერი დროშა გაიშლება, დაღისტანელნი ლაშქრად მორბიან, ოსნი და ჩერქეზნი მეფის ერეკლეს წინ სისხლის დათხევას ხალისობენ?

რათ სტირი, სადავითოვ სახლო, როდესაც მეფის ირაკლის ბედნიერი ტახტზე ჯდომა გეღირსა...

დაბნელდი, მზევ, რომელსა გაქვს მოსწავებული დაბნელებით ჭირის უფლობა, რომ მზე მიწიერი ღამიანის ქართლისა მეფე ერეკლე შენს ბრწყინვალებას ვეღარ ხედავს. ზეციურნო ძალნო, აქამდის თქვენი დღესასწაულობით მასპინძელი, ახლა თქვენი სამღთო სტუმარი მეფე ერეკლე გესტუმრათ, თუმცა სამეფოს დიდებით ვეღარ ნახავთ, საფლავს ტუსაღი გევედრებათ, მაგრამ თქვენ, როგორც ქეთევან დედოფლის სისხლი ისე შეიწყნარეთ, ისე ისტუმრეთ, როგორც დიდს კონსტანტინეს, ისე მოეგებენით.

მაღალო და ძლიერო ღმერთო, დავაკლდით ერნი ქრისტიანენი მემკვიდრესა პატრონსა და საზოგადოსა მამასა ძლიერსა და მხნესა მამაკაცსა. ჩვენ ვსტირით და მეფე ერეკლე, თავი; განმგებელი ერისა, ხელი, მზრდელი ობოლთა, მკლავი, მომგერებელი მტერთა და გვამი, შრომისა მოყვარე, მისი საფლავში ირღვევა. შენ გევედრებით, იესო, სისხლით ცხებულს მეფის ერეკლეს, კაცთ მოყვარეს სულს ნუ შეაწუხებ, იმისგან დაობლებულს საქართველოს მოხედე...